№ 100. 29 მაისი, კვირა. 1866—1883 29 მაისი, კვირა. № 100.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მ. | სამის თვისა . . . 3 მ.
ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა . . . 1 მ.

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი. ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე რვა კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

«დროება» პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს ექვსი (6) მანათი.

## ტელეგრამები

**პეტერბურღი.** 27 მაისს. რუსეთში კაი მოსავალს მოელიან, ახალ თესლებს უფრო კაი პირი უჩანთ.

**როსტოვი.** სამზღვარ გარეთიდამ მოთხოვნილება სუსტია, კავკასიაში თიბვა კიდეც დაიწყო. თივა კარგი მოვიდა, ყანებსაც ჯერ კაი პირი უჩანთ.

**ნიკოლაევი.** პირუტყვი ძალიან კაი ფასად იყიდება; განსაკუთრებით ცხვარი და ცხენი ნაღდ ფულს იძლევიან საქონელში.

**ლონდონი.** გაზეთი ,,Standart‘‘-ი გვატყობინებს, რომ ოსმალეთის მინისტრთა რჩევას გადაუწყვეტია წარუდგინონ ევროპის სახელმწიფოებს ნოტა, რომლითაც პროტესტი უნდა გამოუცხადონ სომხეთში რეფორმების დაძალადებაზედ, ოსმალეთის მართებლობა დროს თხოულობს, მინამ ხაზინას შეეძლება იმ რეფორმებისთვის საჭირო ხარჯი გასწიოსო.

**მოსკოვი.** საღმრთო ძეგლი, სამშობლოს დამხსნის მოსაგონებლად აგებული, ტაძარი მაცხოვრისა, აკურთხეს გუშინ. მთელ მოსკოვში ზარბაზნების გრგვინვა და ზარების გუგუნი იდგა. სრულს 10 საათზედ მობრძანდენ მათი იმპერატორებითი დიდებულება: ხელმწიფე ცხენით და დედოფალი გადახდილი ეკიპაჟით. წინ მიეგებათ მოსკოვის მიტროპოლიტი იოანიკე თანა დამსწრე სამღვდელოებით. იმპერატორმა ჯერ იქვე დამწკრივებულ ჯარ შემოუარა, მერე ცხენიდამ ჩამობრძანდა და დედოფალთან მკლავ გაყრილი შებრძანდენ ტაძარში. ჩრდილოეთის კარებისკენ იდგნენ მოხუცი მეომარნი, რომელთაც 1812 წლის ომში მიიღეს მონაწილეობა, მათთან დეპუტატები პოლკებიდამ, ყაზახებიდამ, ქალაქებიდამ და სხ. სამხრეთის კარისკენ იდგნენ სახელმწიფო რჩევის წევრნი, მინისტრები, სენატორები, კარის კაცნი და ქალნი რუსულ კაბებში, მათ დიდებულებას შეუძღვა სამღვდელოება დიდს საკურთხეველში და დაიწყო ტაძრის კურთხევა. თერთმეტის ნახევარზედ მიტროპოლიტი იანიკე, სამღვდელოება და მათი დიდებულება გამოვიდნენ დასავლეთის კარიდამ იქ შეეტანათ წმინდა ნაწილები ღვთის მშობლის მიძინების სობოროდამ. მიტროპოლიტმა თავზედ დაისვენა ის წმინდა ნაწილები და შემოუარეს ტაძარს. ამის შემდეგ გადიხადეს მოკლე წირვა. ლოცვის დროს ,,ღმერთო დიდებულო და მიუწრთმელო!‘‘ ყველამ მუხლი მოიდრიკეს, შინაგანი მორთულობა ტაძრისა კაცს თვალს მოსტაცებს.

**მოსკოვი.** მათი იმპერატორებითი დიდებულება 29 მაისს დაბრუნდებიან პეტერბურღში.

სახელმწიფო რჩევის აზრი უმაღლესად დამტკიცებულია: მომავალი წლის 1 იანვრიდამ მოისპოს სულზედ გადასახადი იმ გლეხებზედ, რომელთაც მამული არა აქვსთ და ის ჩაწერილან სოფლების საზოგადოებაში და სხვ.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი.

თბილისი, 28 მაისი.

ოც-და ათს ამ თვისას ქუთაისში დაიწყობა თავად-აზნაურობის ბანკის სხდომები. იმერეთში ყოველგვარ საზოგადო საქმის წარმოებას რაღაც განსაკუთრებული ძალი ასვია. გამაგებული ბრძოლა სხვა-და-სხვა წრეთა შორის და თითქმის ყველასაგან მხურვალე მონაწილეობა საზოგადო საქმეებში განსაკუთრებულს ხასიათს აძლევს კრებებს. სხვათა შორის, ერთი საგანი რომლის გამო ბანკის მომავალი კრება წააჭარბებს წინანდელ სხდომებს და გამოიწვევს გაცხარებულს შეტაკებას: პირველი ის, რომ ერთი დირექტორთაგანი უნდა ამოირჩიონ და მეორე ის სამწუხარო ამბავი, რომლის გამო ქუთაისის ბანკს მოესპო უფლება სესხის გაცემისა. ჩვენს საზოგადოებას ჯერ-ჯერობით ისეთის საქმისათვის არ მოუკიდებია ხელი, რომელსაც ქვეყნისათვის თვალსაჩინო სარგებლობა მოეტანოს; მხოლოდ ბანკები დავაარსეთ და ეს ერთად ერთი თვალ-საჩინო საქმე გავაკეთეთ. იმისაგან მოველოდით და მოველით კიდეც ცოტა ოდენს შეღავათს და შემსუბუქებას გაჭირვებისაგან. პურ-მარილიანობით, გულ უხვობით, სტუმრის მოყვარეობით ჩვენ სახელი მოვიხვეჭეთ; მაგრამ საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის ჯიბის ხელის გაკვრა არ გვიყვარს. რამე საჭიროება რო მოგვადგეს და დავიძახოთ, აბა გვიშველეთ-თქო, ყველა უკან დაიწევს. ჩვენმა მოწინავე კაცებმა მხოლოდ ერთი დრო უშოვეს საზოგადოებას, როცა გლეხების ფულებით თითქმის ყელამდი ვიყავით ავსილი, და თითო ოროლი გროში გააგდებინეს ხელიდგან; აქედგან დაარსდა ჩვენი ბანკები. უგნურობა იქნება ვთქვათ, რომ ბანკებს სარგებლობა არ მოეტანოს. მრავალნი იმასაც ლალადებენ, რომ ბანკებმა დაგვღუპა, ქვესკნელში გაგვატარაო; კაცმა ცხენს ვერ მოერია, უნაგირს დაუწყო მტვრევაო, სწორედ ამასა ჰქვია. ჩვენ ჩვენი უმეცრება ვერ დავსძლიეთ, ჩვენი უნაყოფო მოთხოვნილების მოსპობა ვერ შევიძელით და არ ვიცოდით ჩვენი საქმის და ოჯახის რიგიანად წაყვანა ბანკის რა ბრალია; მამულები დავაგირავეთ და იქიდამ აღებული ფულები უსარგებლოდ დავფანტეთ—ჩვენვე ვართ დამნაშავე, ბანკები კი არა შუაშია. ბანკების დაარსების დროს ის აზრი გვიხელმძღვანელებდა, რომ იქიდგან აღებული ფულებით მამულები გაგვემართა, რიგიანად მოგვეწყო და ვაჭრების ხელიდგან გამოგვეგლიჯა. ამ სახით ცოტ-ცოტად ბანკის ვალის გადახდაც არ გაგვიჭირდებოდა და ჩვენი ავლა-დიდებაც არ დამცირდებოდა.—მეორე არა ნაკლები საგანი ის იყო, რომ ბანკების მოგება საზოგადო საქმეებისათვის მოგვეხმარა: სწავლა-განათლებას უნდა დავხმარებოდით, რადგან უსწავლელობა უპირველესი მიზეზია, ჩვენის დამცირებისა, ჩვენის ქვეყნის დასუსტებისა. ათი კაციც არ მოინახებოდა ჩვენს კრებებში, რომელთა მხოლოდ ზემო-ხსენებულის აზრებით ყოფილიყვნენ აღჭურვილნი; უმეტესობას ის საგანი,

---

«დროების» ფელეტონი 29 მაისი.

## საკვირაო მასლაათი

### კისრული.

აკი მოგახსენეთ, რომ ინგლისში იმისთანა უბრალო საქმისთვისაც, როგორც სასტუმროების დახურვა არის კვირაობით, მილიონი ხალხი მოიყრის თავს და ჩვენ კი, საქართველოს გაბედნიერებაც შეგვეძლოს, ათ კაცს იასაულებით ვერ მოჰრეკავთ-მეთქი. ჯერ ის მელანიც არ გამშრალა, რომლითაც მე ზევით მოყვანილი სიტყვები დავსწერე, და თვით ცხოვრებამ გამამართლა.

პირველ საქმედ ჩვენში, არ ვიცი რომელ მეცნიერულის მოსაზრებით, ბანკი მიაჩნიათ, მე კი პირველ საქმედ «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» მგონია. ვიცი მკითხველი ამის დასამტკიცებელ საბუთებს არ მოითხოვს და მეც საბუთების ჩამოთვლას გვერდს ჩავუვლი. დიაღ, «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» დიდი და მაღალ მნიშვნელობიანი დაწესებულებაა ჩვენში, მაგრამ ის გულ-გრილობა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იჩენს ამ საქმეში, საიმედოს არაფერს გვიხატავს მომავლისთვის. მთელი ათი დღე ზედი-ზედ იბეჭდება გაზეთში განცხადება, რომ წლიური კრება ამ საზოგადოებისა 25 მაისს მოხდებაო და თავს იმითი ვერავინ გაიმართლებს, რო, მამა-ჩემი არ წამიწყდება, არ შემიტყვიაო, რადგანაც ეხლანდელი გაზეთი ძველებურს ბუკსა და საყვირსა სჯობიან. მე რომ ბანკების ყრილობებზედ და გამართულ „სადილებზედ ქალისა და კაცის აწი-აწით სირბილი და თავის მტვრევა მინახავს, ეხლაც ვიფიქრე ისე იქნებოდა და ადრე წავედი ალაგი დავიჭირო-მეთქი. მაგრამ მასპინძლებს ამაოდ აწყდებოდათ გზისკენ თვალები: სტუმრები არ მობრძანდენ. კრება შემდეგისთვის გადასდეს, მაგრამ, მე მგონია, მაშინაც რომ თბილისს გარეშემო ალყა შემოარტყათ, ქორ-მეძებრებითაც ვერ მოაგროვებთ ორმოც-და-ათს კაცს. თუნდა რომ კიდეც შეჰკრიბოთ ეს ორმოც-და-ათი კაცი, მე თქვენ გარწმუნებთ, ბულვარიდან სოლოლაკამდე ოცს ვერ მიიყვანთ; სხვები ხელიდან გაგიძვრებიან. კრების შესადგენად წევრების მოგროვებისათვის მე ორ საშუალებას გასწავლით: ან სთხოვეთ ბ. გუბერნატორს, რომ წევრები ყაზახებით მოარეკინოს, როგორც ჩამოაყვანინეს მიხეილ ათამალაშვილი, რომელიც ხვალ ბლდანელს უნდა ეჭიდოს; ან, თუ გნებავთ, რომ არც ბ. გუბერნატორი შეაწუხოთ და არც ყაზახები, შემდეგი განცხადება დაბეჭდეთ: «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» ამით აცნობებს ყველა დარბაისელ ქართველთ, რომ თავის მძიმე მოვალეობის ბრწყინვალედ შესრულებისთვის სამადლობელ სალმრთოსა სწირავს ლმერთსა, რომელზედაც მოიწვევს მსურველთ. სალმრთოში დაიკვლება თორმეტი სამის წლის ჭედილა (ცხვარი), სამი უშობელი ისეთი რომ ბეწვი გამოაძროთ, ქონი გამოჰყვება; აგრეთვე გადადებულია ხუთი რუმბი თავი ღვინო თავის შესაფერ ნამცხვარით». თვალსაფერისად მაინც დაბეჭდეთ ეს განცხადება და მაშინ უყურეთ რა ზღვათ აუარებელი სარტყელ-მოშვებული და ულვაშებ-გაწკეპილი ხალხი მოგაწყდეთ!

***

რომლისათვისაც ჩვენი მეცადინეობა უნდა მიგვემართა, დაავიწყდა და არჩევანის ანგარიშებმა წარიტაცა, ყველამ თავის პირადი სარგებლობა მოინდომა, თავისი კანდიდატი წამოაყენა იმისთვის კი არა, რომ დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ ეს კანდიდატი საქმისათვის სასარგებლო იყო; არა, სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ აქ ხელმძღვანელობდენ ან ნათესაობდით, ან მეზობლობით, ან სხვა რამ ისეთი ანგარიშებით, რომელნიც ყოველ საქვეყნო საქმისათვის მავნებელია; წარმოიდგინეთ ქუთაისში საქმე ქრთამებზედაც მივარდა, და ამითი წაიბილწა კეთილი განზრახვა, საერთო სასარგებლო საგანი. ეგრეთი მიმართულება ქუთაისის ბანკის კრებებმა ამ უკანასკნელის ხუთის თუ ექვსის წლის განმავალობაში მიიღეს. იმათ, ვინც ქუთაისის ბანკის ბედ-იღბალი ხელთ იგდო, ყოველი ღონის-ძიება იხმარეს განემრავლებინათ თავიანთი მომხრე და ყოველ საშუალებას აიაზმა ასხურეს. მაგალითად, როცა რომელიმე მაზრის მცხოვრებლებს შეატყობდენ წინააღმდეგობას, პირში ბურთს ჩასჩრიდენ, ესე იგი ერთს იმათთაგანს მისცემდენ რამე თანამდებობას ბანკში და ამით დააშოშმანებდენ. ამ სახით დღეს ქუთაისის ბანკში ვხედავთ შვიდს დამფასებელს, როდესაც ოთხიც საკმაოა. ამ გვარმა მოქმედებამ გააშმაგა მოწინააღმდეგენი და კიდევ უფრო საზიზღარი საქმე აქნევინა: წავიდა უმაღლეს მმართებლობასთან ჩივილი, შეიქმნა დაბეზღება. ზოგი საფუძვლიანი, ზოგი უსაფუძვლო და ეს თითქმის ნახევარი წელიწადია, რაც ბანკი თითქმის გაჩერებულია და არ მოქმედობს. ამის გამო ჩვენს საზოგადო დაწესებულებებს მოაკლდა რამოდენიმე ათი-ათასი მანეთი. ბრძოლა მართალია აუცილებელია, მაგრამ იმ გვარად უნდა იყოს წაყვანილი რომ საქმეს არ ავნოს.

ბანკის საქმე ისეთი საქმეა, რომელშიაც ძალიან წინ დახედულობაა საჭირო.

---

საშინელებაა ყრუ კაცთან ლაპარაკი, იმის საზოგადოებაში ყოფნა. თუ იმას ელაპარაკები,—ვაია! სულ ყელი ამოგეხრინწება, მანამ გააგონებ რასმე; სხვას დაუწყებ ლაპარაკს და კიდევ უარესი!—ასე ჰგონია. ყოველთვის იმაზედ ლაპარაკობ და მოსვენებას არ მოგცემს, ვიდრე შენს სიტყვებს სათითაოდ არ გააგებინებ, თუნდ ეს სიტყვები იმას სრულიადაც არ შეეხებოდეს. თუ გაგიწყრა ღმერთი და ილაჯ-გაწყვეტილმა სიტყვა შეუბრუნე და უთხარ: «რას ჩამაცივდი, მე შენზედ ხომ არა ვლაპარაკობო!» ვაი შენი ბრალი, ქვეყანაში მოგყრუვნის, ყველგან ხმას დაგიყრის, აი დავსნეულდი დი შინაურებს ეხლა აღარ ვუნდივართ, ამითვალწუნეს, მუდამ ჩემზედ ლაპარაკობენ, ყურში მაგონებენო!»

არ ვიცით სიბერით მოსვლია, თუ უდროოდ დასნეულებულა (ჩვენა გვგონია, რომ სიბერე არ უნდა იყოს ამის მიზეზი), პატივცემული «შრომის» რედაქციაც ყურმახვილობას ვეღარ დაიკვეხებს. რაც «დროება» ახალის რედაქციის ხელში გადავიდა, დალოცვილს «შრომას» ასე ჰგონია, «დროებას» «შრომის» მეტი საქმე არა ჰქონდეს-რა, ყოველს ჩვენს შენიშვნას თავის-თავზე მიიღებს ხოლმე და თუნდ მეგობრული რჩევაც მივცეთ, სამტროდ მისულნი ვგონივართ და რაღაც ბოროტს განძრახვას გვაბრალებს. პირველად იყო და საშინლად ითაკილა, როგორ გაჰბედეთ და შეცდომა როგორ გამისწორეთ, თქვე ასეთ-ისეთებო, თქვენ კითხვა არ იცით, რაღაცაები მოგლანდებიათო! აი დღესაც გვინდა ერთი პატარა შეცდომა გავუსწოროთ პატივცემულ რედაქციას, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა წიგნის-ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების გამგებლობის ქვეშ კი არ არის, ცალკე საზოგადოებაა მის განსაგებლად შედგენილი, მაგრამ კიდევ გვეშინიან კითხვის უცოდინარობა არ დაგვწამოს მოთაკილე რედაქციამ და ისევ გაჩუმებას ვარჩევთ. დღეს არის კიდევ და წყრომით გვეუბნება, როგორ გაბედეთ და გამოაცხადეთ, რომ ასე გვწერენ, „ქუთაისის ბანკის კრებაზედ ფიცხელ შეტაკებას მოველით, რადგანაც ბანკის წარმოების შეყენებას ბანკის მოწინააღმდეგებს აბრალებენო. ვინ არის ეგ თვალ-ხილული წინასწარმეტყველი, რომ ჩვენში ბანკის მოწინააღმდეგები გამონახაო. ბანკის მოწინააღმდეგე ჩვენში სრულებითაც არავინ არისო. ჩვენ მხოლოდ ცუდს წესებზედ ვლაპარაკობთო; სათვალეები გაიკეთეთ, თუ თვალთ გაკლიათო და სხვ.“ ღმერთო დაგვიფარე! «შრომის» რედაქციას ვინ რას მოახსენებს, რომ ასე გვიწყრება. ან ყოველის ბანკის წევრის გულში ხომ ვერ ჩაძვრება „შრომის“ რედაქცია, რომ გვარწმუნებს, ჩვენში ბანკს მტერი არავინა ჰყავსო. ჩვენც იქნება არა გვჯეროდეს, რომ ბანკს მტერი ჰყავდეს ვინმე, თუმცა კი.... თუმცა... თუ მეხსიერება არ გვატყუებს, თითონ «შრომაში», როდისღაც, რომელღაც ნომრებში დაბეჭდილი იყო რამდენიმე წერილი ზოგი რედაქციის მხრივ, ზოგი მის მუდმივ თანამშრომლებისა, რომ საადგილ-მამულო ბანკი მავნებელი არისო, მამულები იმის წყალობით სხვის ხელში გადადისო, თუ ჩვენი არა გჯერათ, აი რუსეთის ავტორიტეტებიც ამას ამბობენო.... მაგრამ, თქვე დალოცვილებო, ეგ წარსული ამბავია და ყოველთვის წარსულით ხომ ვერ ვიცხოვრებთ. თითონ გამოჩენილი საფრანგეთის მეცნიერი რენანი ამბობს:—«ყველასთვის საჭიროა ბევრის დავიწყება იცოდესო.“

ამას გარდა თუ «შრომის» რედაქცია უწინ ბანკს წინააღმდეგ უდგა, მაშინ სხვა იყო, ბანკში სხვა პირები ისხდენ და ეხლა იქნება რედაქციას იმედი აქვს რომ უკეთეს პირს დასვამს დირექტორად. თუ ეს მოუხერხდა, მაშინ ბანკი სასარგებლო საქმედ გადაექცევა, იქ მსხდომნი პირნი—სამშობლოსათვის მზრუნველ პირებად, ბანკის წესები—საუკეთესო წესებად. თუ არა[illegible]—გამოაშკარავდება ბანკის—წესების [illegible]სოებაც, იქ მსხდომ პირთა უპირულობაც და თვითონ ბანკის დამფუძნებელთ ბოროტი განზრახვაც.

---

## ახალი ამბები.

≈ თბილისში მოსულმა კერძო ტელეგრამებმა გვაცნობეს, რომ გადაწყდა ტრანზიტი კავკასიაში უნდა მოისპოსო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა და «მოსკოვის უწყებების» მომხრეთ გაიმარჯვეს,....

≈ წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრება, რომელიც 25 მაისს იყო დანიშნული, ვერ შესდგა, რადგან მხოლოდ ოც-და-ათამდე წევრმა მოიყარა თავი და წესდების ძალით პირველს კრებაზედ ორმოც-და-ათი წევრი მაინც უნდა დაესწროს. მეორე კრება, რომელიც ამ ცოტას ხანში დაინიშნება, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა მოვიდეს. იმედი გვაქვს, საზოგადოების წევრნი მმართველობის წევრთ სასაცილო მდგომარეობაში არ ჩააყენებენ—და მარტო იმათ არ შეადგენინებენ საზოგადო კრებას.

≈ ჩვენ შევიტყეთ, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს მეორე პროგიმნაზიის კლასის გახსნა განუზრახავს. ეს განზრახვა სწორედ საქებურია, რადგან უამისოდ შეიძლებოდა ოცამდე ბავშვი სკოლას გარეთ დარჩენილიყვნენ, არც საშუალო სასწავლებლებში მიეღოთ და ამით ხუთის წლის ღვაწლი მათზედ სკოლას ამაოდ ჩაეტარებინა.

≈ ერთმა ცხენის რკინის გზით მოსიარულემ შემდეგი ამბავი გვიამბო: ამ დღეებში ერთს კონდუქტორს უეცრად კონტროლიორი თავს დაეცა და სამსახურიდამ დათხოვნას უპირებდაო, რადგან ამ კონდუქტორს

---

თუმცა კრება არ შემდგარა, მაგრამ კრებისათვის ამორჩეულ შენობაში ერთი სასიამოვნო ამბავი შევიტყეთ: დაგვარწმუნეს, რომ წრეულვე ემატება ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას მეორე კლასი, რომლის გასახსნელად საჭიროა მხოლოდ... რამდენი ბ. კამიტეტის წევრო, ალექსანდრე ჩოლოყაშვილო! მე მესმის, რომ ბ. ჩოლოყაშვილმა თვალებიც არ დაახამხამა ისე მომარტყა პირში: შვიდასი თუმანი! მაგრამ, უკაცრავად თქვენთან, საჭირო ყოფილა მარტო ორას ორმოც-და-ათი თუმანი. რასაკვირველია, თქვენ უზრდელობაში არ ჩამომართმევთ, რომ ბ. ჩოლოყაშვილი პატარა ხანს დამნაშავედ სკამზედ წამოვსვა, მე თავმჯდომარის ალაგი დავიჭირო და შემდეგი კითხვა მივსცე: ბრალდებულო, სთვლით თქვენ თავს დამნაშავედ მასში, თუ არა, რომ ბანკის ყრილობაზედ, როდესაც ლაპარაკი ასტყდა იმაზედ—თუ რამდენი ფული მოუნდებაო სათავად-აზნაურო სკოლას მეორე კლასის გასახსნელად, არ ვიცით რა განძრახვით, ორ ასამდე დარბაისელი თავადი და აზნაური გააცურეთ და ორას ორმოც-და-ათი თუმნის მაგიერ, შვიდ ასი თუმანი უთხარით?

ხუმრობა გაშვებით და აბა როგორ უნდა წავიდეს რიგიანად ჩვენი საზოგადო საქმეები, როდესაც მათს გამგე კომიტეტებში და მმართველობაში წევრებად ზოგიერთნი იმისთანა პირნი წამომსხდარან, რომელთაც უფრო დაწვრილებით იციან, სადღაც სანდვიჩევის კუნძულებზედ, დავით კალაკაუას სამეფოში, რა ხდება, მინამ იმ საქმეებისა, რომლის მეთაურობაც უკისრიათ? ადვილი წარმოსადგენია, რა ჭირის ოფლი დაასხამდა ბ. ალ. ჩოლოყაშვილს, როდესაც წამოაყენეს, როგორც სკოლის კომიტეტის წევრი,—ებრძანებინა რამდენი ფული მოუნდებოდა მეორე კლასის გახსნას და ორასი წყვილი თვალი ისრებივით იმას დაუპირდაპირდა. კარგია, რომ ქართველები დამჯერო ხალხია და ყველაფერზედ კოდალასავით თავს დაგიქნევენ, თორემ მაშინ რაღა ეშველებოდა, რომ ერთი ურწმუნო გამომტყვრალიყო ვინმე და მოეთხოვა: ეგ ქაღალდი და კარანდაში წინ გიდევთ, აბა ერთი გაისარჯეთ და დაწვრილებით გვიანგარიშეთ რაზედ უნდა დაიხარჯოს ის შვიდასი თუმანიო, მხოლოდ ძველმა «ბურსაკებმა» იცოდენ თავიანთ უცოდინრობაში არ გატყდებოდენ და როდესაც სოფელში ჰკითხამდენ: რუსული ლაპარაკი ისწავლე, თუ არაო, ისინი უსვენებლივ ჩამოუსხაპუნებენ «მამაო ჩვენოს». ის არ ემჯობინებოდა, ბ. ჩოლოყაშვილს ეთქვა: უკაცრავად, ბატონებო, ემ საათში ცნობები ხელთ არა მაქვს და ხვალ მოგახსენებთ; თორემ იმის წყალობით სათავად-აზნაურო სკოლას რაც ბანკიდამ ერგებოდა, იქიდამაც ას-ოც-და-ათი თუმანი მოუციცქნეს და ორს საქალებო სკოლას გაუყვეს იქნება ფრანცუზულის ენისა და ტანც-კლასების გასაჩაღებლად.

***

«შრომამ» იმ დღეს «ნიკალაევსკის კაპრალივით» თითი დაგვიქნია და ციც! გვითხრა—ჩვენს გამომცემელ ზ. ჭიჭინაძეზედ ისე აგდებით ლაპარაკი როგორ გაჰბედეთო. ბოდიშს ვიხდით პატივცემულს «შრომასთან», რომ ჩვენის სიყმაწვილისა და გამოუცდელობის გამო მაშინვე დავუტრიალდით და რამდენჯერმე მიწა ავაკრეფინეთ. ეხლა დავრწმუნდით, რომ ბ. ზ. ჭიჭინაძე არამც თუ მარტო არხეოლოგი და ისტორიკოსი ყოფილა, როგორც «შრომამ» ჩვენ,

ვითომ ძველი ბილეთები გაეყიდოს ახალის მაგივრადაო. კონდუქტორი არწმუნებდა, რომ მე არ მიმიცია და ეტყობა მტრობით მომქცევიანო, და ისიც ვიცი ვინც მომექცოდა აგრე, რადგან დღეს ერთი ჩემთან გადამტერებული კაცი დამემუქარა სამსახურიდამ დაგათხოვნინებო. კარგი იქნებოდაო, ცხენის რკინის გზის გამგეობას განკარგულება მოეხდინა, რომ ყველა პასაჟირს ბილეთი გამოერთვას, თორემ, ყველას შეუძლიან ცუდ-უბრალოზედ უმტროს კონდუქტორს, ძველი ბილეთი წარუდგინოს კონტროლიორს და სრულიად უდანაშაულოდ კონდუქტორი სამსახურიდამ დაათხოვნინოსო.

≈≈ „შრომა“ გვატყობინებს, რომ ამავე სკოლის ინსპექტორად სკოლის კამიტეტს მიუწვევია ბ. ვ. უიფიანი, რომელიც ვლადიკავკაზის პროგიმნაზიის მასწავლებლად იყო.

≈≈ «შრომაში» სწერია: თუმცა მთელის ქუთაისის გუბერნიიდამ მოსავლისა კაი ხმები ისმის, მაგრამ სენაკის მაზრიდგან ამბავი მოგვივიდა, რომ სოფ. ჭალადიდს და მის ახლომახლო ადგილებში კალია გაჩენილა და ხის ფოთლები სულ შეუჭამიაო. რასაკვირველია, ადმინისტრაციის ვალია, ამ მოვლენას საჩქარო ყურადღება მიაპყროს და პირველშივე მოსპოს ეს მავნებელი მწერი, რომელთანაც ბრძოლაში ჩვენი ხალხი ისე დახელოვნდა, რომ მისი გაწყობა არ გაუჭირდება.

≈≈ სეტყვას ქართლიც ძალიან დაუზიანებია. დღეს კიდევ ამბავი მოგვივიდა, რომ ცხინვალის ხეობაც დაისეტყვაო წარსულს კვირა დღესაო. სწორედ იმ დღესვე ზორშიაც ისეთი ღონიერი სეტყვა ყოფილა, რომ ერთი მარცვალი ექვსის წლის ბავშვს მოხვედრია და ბავშვს გული შესწუხებია.

≈≈ «Новости» გვატყობინებს, რომ ამ ცოტა ხანში სახელმწიფო რჩევა დაამტკიცებსო სულზედ გადასახადის გაუქმებას ზოგიერთ რიგის გლეხ-კაცობაზედ. მომავალის წლის 1 იანვრიდამ სულზედ გადასახადი აღარ მოეთხოვებათ იმ გლეხებს, რომელნიც უმამულოდ მიწერილნი არიან სოფლის საზოგადოებაზედ, და აგრეთვე იმ გლეხებს, რომელნიც ფაბრიკებს და ქარხნებზედ იყვნენ მიწერილნი და სხ.

≈≈ იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ უმაღლესის მანიფესტის ძალით რამდენიმე კათოლიკის ეპისკოპოსები გაუნთავისუფლებიათ, რომელნიც პოლშის აჯანყების გამო 1863 წელს ციმბირში იყვნენ გაგზავნილნი. იმ ეპისკოპოსებს საცხოვრებლად ამოურჩევიათ რომი და ყველას რუსეთის მმართებლობისაგან სიკვდილამდე პენსია ექნებათ დანიშნული. თუ პოლშაში დასახლება მოიწადინეს, მაშინ საჭიროა ნება-რთვა აილონ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.

≈≈ ჭიდაობის მოყვარულთა საყურადღებოდ. მიხეილ ათამალაშვილი, რომელსაც ხმა დაუგდეს გლდანელი წააქციაო, გუშინ ჩამოვიდა, ანუ სწორედ ვსთქვათ, ჩამოიყვანეს გლდანელთან ხელ-მეორედ დასაჭიდებლად. როგორც გეხსომებათ იმის წერილიდამ, ათამალაშვილმა უარი გამოაცხადა გლდანელთან ჭიდაობაზედ ქალაქში და თუ გნებავსო, მისწერა გლდანელს ჩემს სოფელს შახ-ნაზარეთში მობრძანდი და იქ დამეჭიდევო. ეხლა მაინც ჩამოუყვანიათ და ხვალ, ორშაბათს, მოხდებაო მეორე ბრძოლა. ჭიდაობა იმართება საქველ-მოქმედო მიზნით. ჭიდაობა იქნება იტალიის ბაღში.

## ნარევი

—

ალფონს დოდეს დუელი. საფრანგეთში დუელი ჯერ კიდევ დიდ პატივშია და მაშინ, როდესაც რუსეთში საინკრო დროს გასატარებლად გარდაიქცა, საფრანგეთში ყველაზედ ხშირად ლიტერატორები წამოავლებენ ხოლმე ხელს დანას და დამბაჩას. გამოჩენილი მწერალი ალფონს დოდე ისე გაუჯავრებია ერთს გაზეთში „Paris“ დაბეჭდილ ალბერ დელპიის წერილს, რომ მაშინვე დუელში გამოუთხოვია. 14 მაისს გასულს დუელში. დოდეს თავისი მეტოქე მხარში დაუჭრია და გაშორებულან.

—

წარმოდგენები გიჟებისთვის. პარიჟში წელიწადში ერთხელ იმართება ხოლმე გიჟებისთვის მუსიკალური და დრამატული საღამოები, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ხოლმე პარიჟის გამოჩენილი არტისტები. წრეულს, გაზ. Gaulois სიტყვით, წარმოდგენაზედ შეიყარნენ თურმე ოთხასამდე გიჟი, თავით ბოლომდე ისე რიგიანად ეჭირათ თავი, რომ ჭკვიანები არ შესცდებოდნენ იმათგან მაგალითი გადმოეღოთ: თავის დროზედ ტაშს უკრავდნენ, თავის დროზედ იცინოდნენ და სხ. ყველაზედ მომეტებულად არტისტი კოკლენის თამაშობა დააფასესო მარტო ეს ამტკიცებს, რომ იმ გიჟს პუბლიკას, ზოგ ჭკვიან პუბლიკაზედ უფრო მეტი გემოვნება ჰქონია.

თუ ეს მართალია, იმ არტისტებთან ერთად, რომელნიც ხან დის ხან პარიჟში იგზავნებიან ხოლმე განვითარებისთვის, კარგი იქნებოდა ჩვენი პუბლიკიდამაც რამდენიმე კაცი გაგვეგზავნოთ ხოლმე, რომ ამ გიჟებისაგან შეისწავლონ არტისტული თამაშობის დაფასება. აგება მაშინ ისე უთავ-ბოლოდ აღარ იყვირებოდნენ ბრავო და ბისს.

—

კავკასიელი ქალი. ჩვენი მგელი ზღაპრები, ლეგენდები და თვით ისტორიაც კავკასიის ქალს ყოველთვის სასტიკ ნამუსის დამცველად გვიხატვენ, რომელიც მნელად დაუთმობდა კაცს თავისი ნამუსის შეურაცხყოფას, ან მეტოქე-ქალს თავის სატრფოზედ ცილაობას. ეხლა საზოგადოდ როგორც კაცი, ისე ქალი ზნეობით დავხურდავდით და უნამუსობა ჩვენს პირის კანს აღარა სწვამს, რადგანაც ქალმის ლანჩასავით გახევდა. ქვემოთ მოყვანილი ამბიდამ შეიტყობთ, რომ კავკასიელი ქალის წამხდარი ხასიეთი კიდევ ხან დის ხან იფეთქებს ხოლმე და შაკ დღეს აყენებს თვისს შეურაცხყოფელს. 13-ს მაისს ორი ქალი მისულა სტამბოლში იუსტიციის სამინისტროში და გამოუმახიათ ადიუტანტი შახიმ-ბეი, საქმე გვაქვსო. გამოსულა თუ არა შახიმი, ერთს ქალს დამბაჩა დაუხლია და ბრწყინვალე [illegible] ზედ გამოტილა კიდეც [illegible] სამინისტროში ალია-ქოთი მომხდარა და თვით მინისტრს, ასსიმ-ფაშას, ჩამოურთმევია ჩვენება. ეს მამაცი ქალი იქნება ოც-და-ათის წლისა, მშვენიერი შეხედულობისა. ასსიმ-ფაშასთვის მოუხსენებია: ორი წლის წინათ. მედა ჩემი დობილი ფატმანი კავკასიიდამ მოვედით სტამბოლს. საიდანღაც გაგვიცნო შახიმ-შეიმ და ფატმანი წაიყვანა-ერთს კარგს ოჯახში დავაყენებო. მას აქეთ ორივენი ჩაიყლაპნენ სადღაც მხოლოდ ეხლა შევიტყე, რომ შახიმსის უბედური მოუტყუებია, ორი წელიწადი თითონა ჰყოლია და მერე კიდეც ოსმალოსთვის მიუყიდია მვირად. ეგ თავლაფ დასხმული, დაუმატებია ზედ განრისხებულს ქალს, ვაჭრობს ქალებითო. სტამბოლში ყველა გაკვირვებულია ამ კავკასიელი ქალის გაბედულობით, რომელმაც თავისი დობილის შერცხვენაც კი ვერ დასთმო.

## აბდ-ელ-კადერი.

ამ ცოტას ხანში გარდაიცვალა დამასკში ღრმა მოხუცებული ალჟირის პატრიოტი და შესანიშნავი გმირი აბდ-ელ-კადერი. ამ შესანიშნავი კაცის ცხოვრება მრიელ მოგვაგონებს ჩვენი შამილის ცხოვრებას. ახალ გაზდობაში აბდ-ელ-კადერიც ისეთი გატაცებული მაჰმადის მღაღადებელი იყო და მოსისხლე მტერი ქრისტიანებისა, როგორც შამილი. დიდხანს ებრძოლა ფრანცუზებს და ბევრჯერაც დაუმარცხა ჯარები, მინამ 1835 წელს მარშალმა კლოზელმა სულ არ გაუფანტა აბდ-ელ-კადერს თავისი ჯარები. როდესაც გაგცეული ამირი მივიდა თავის თემში, წინ დაუხვდნენ ბელადები და უთხრეს: ამის შემდეგ შენ სულთანი აღარა ხარ და აღარც ღირსი ხარ ცხენზედ იჯდე? „მივიდნენ უზანგებიდამ ფეხები გამოაღებინეს და ჩამოაგდეს. შერცხვენილი კადერი იქიდამაც გაიქცა, შეყარა სხვაგან ჯარები და 1847 წლამდე ფიცხელი ომი არ შეუწყვეტია ფრანცუზებთან. ამ წელიწადში ფრანცუზმა მთლად დაამარცხეს, დაიჭირეს შამილი-

---

უმეცართ, შეგვატყობინა, ის ყოფილა დიდი ასტრონომიც. თუ ზოგოლის გამოჩენილმა პოპრიშჩინმა დაამტკიცა, რომ ესპანია და ჩინეთი ორივ ერთიაო და მთვარეს ჰამბურგში აკეთებენო, ჭიჭინაძესაც ერთი ისეთი მეტეოროლოგიური საიდუმლო აუხსნია, რომ პოპრიშჩინის ისტორიულს და ასტრონომიულს გამოკვლევებას, თუ არ წაექარბება, არაფრით ჩამორჩება. აი, ემ საათში რედაქტორმა დიდის სიხარულით გადმომცა თვით ზ. ჭიჭინაძის წერილი თავის შენიშვნით ჩემს «კისრულში» მოსაქცევად. წაიკითხეთ და დასტკბით.

«ჩვენ დღეს მოგვივიდა ერთის ჩვენის გამოჩენილის ასტრონომის და მეტეოროლოგის წერილი, რომელზედაც მიგვიქცევია განსაკუთრებითი ყურადღება მკითხველისა. აი ის წერილიც:

«პატივცემულო რედაქტორო, რომ ჩვენში სეტყვა მეტად გახშირდა ამ ბოლოს დროს, ეს, მგონია, არც თქვენთვის იქნება საიდუმლო (სრულიადაც არა, ჩემო ბატონო, იმის გარდა, რასაც სხვა-და-სხვა კუთხეებიდანა გვწერენ სეტყვაზედ, ჩვენ თითონ იმ დღეს ქალაქში მოსულმა სეტყვამ კინალამ თავ-პირი დაგვალეწა.) ჩემი ყურადღება კი დიდი ხანია რაც ამ წყეულმა ცის მოვლენამ მიიპყრა და ძალიანაც დამაფიქრა. არამც თუ ევროპიელი ასტრონომები და მეტეოროლოგები გადავიკითხე, წაუკითხავი და შეუსწავლელი არ დამრჩა არც ერთი საბერძნეთის, ინდოეთის და ძველი ალექსანდრიის ფილოსოფოსები. ეს კიდევ არაფერი, კამჩადალების და ლაპლანდიელების ასტრონომიაც კარგად შევისწავლე, მაგრამ იქ ჩემის მტანჯველის კითხვის პასუხი ვერსად ვიპოვე. ზაჯავრებულმა ის წიგნები მერე სულ რაჭველებს მივეცი თორნის გასახურებლად და ისევ ჩემს საკუთარს ჭკუას მივმართე. ჩემმა მახვილმა და გამჭრიახმა ჭკუამ აი რა მითხრა: —— რას დაღონებულხარ, ჩემო ზაქარია? სეტყვის გახშირების მიზეზია სულ ის ღვთისგან შერჩევნებული ლესეპსია. იმან რომ ხმელთა-შუა ზღვა ინდოეთის ოკეანეს შეუერთა არხით, ეს იმის უწმინდური საქმე ღმერთს არ იამა და ქვეყანა სეტყვით უნდა დასაჯოს. მიკვირს რით ვერ შეიტყვეს, რომ ლესეპსი კაცი კი არა, ჯოჯოხეთიდამ ამოვარდნილი ეშმაკია, რომელსაც ქვეყნის დაღუპვა უნდაო. ეს რომ გავიგე, მაშინვე დეპეშა მივსწერე ეგვიპტის ხედივს, თეფიკ-ფაშას და ვსთხოვე, რომ სადაც იყოს მოანახვინოს ის შერჩევნებული ლესეპსი და ჯერ თითონ შიგ სუეცის არხში ჩაახრჩობინოს და მერე ის არხიც ამოავსებინოს. ვისწრაფი ქვეყანას განვუზიარო ეს ჩემის ჭკუის ნაყოფი თქვენის გაზეთის საშუალებით. იმედი მაქვს, რომ არამც თუ მალე დაჰბეჭდავთ ამ წერილს, დიდ მადლობასაც შემომითვლით, რადგანაც თქვენის გაზეთისთვისაც ეს დიდი სახელი იქნება ლონდონის «Times»-ში რომ მიმეგზავნა ეს წერილი, ერთს ხომალდს ოქროს გამომიგზავნიდენ, მაგრამ მე ხომ მარტო ფულისთვის არ ვმოღვაწეობ; მე მინდა სახელი მოვიხვეჭო.

P. S. მალევე წერილი იქნება წინასიტყვაობის მაგიერ დაბეჭდილი ერთს უზარ-მაზარ ასტრონომიულს თხზულებასთან, რომელიც ამ ორიოდ დღეში უნდა გამოვსცე.»

დავით სოსლანი.

ვით და თავისი ჴმალით საფრანგეთში წაიყვანეს. კედერი დიდ ხანს ეხვეწებოდა, თუ ალჟირში არა, სადმე სხვა აღმოსავლეთის ქვეყანაში გაეშვათ, მაგრამ ფრანცუზების მართებლობა არას ჩადიოდა მხოლოდ 1852 წ. ნაპოლეონ მესამემ გამოართვა პატიოსანი სიტყვა, რომ ალჟირში აღარ დაბრუნდებოდა და გაუშვა. აბდ-ელ-კედერმა საცხოვრებელად აღმოირჩია დამასკი და სცხოვრებდა სიკვდილამდე მშვიდათ, რადგანაც თავის დამარცხებას ღვთის ნებას აწერდა. შემდეგში-სიკვდილამდე დიდი მეგობარი იყო ფრანცუზებისა და ქრისტიანობასაც მფარველობას უშვრებოდა. როდესაც 1860 წელს არაბებმა დამასკში ქრისტიანები გაჟულიტეს, მაშინ კედერმა თავის გარემოში დაფარა 3,000 ქრისტიანი და 10,000 ციხეში შეინახა. სამი ღამე მზად იყო ქრისტიანების მტრების დასახვედრად, თუ გაჰბედამდენ იმის სახლზედ დაცემას და ქრისტიანების დახოცვას.

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, სემიონოვის ქუჩა, აზვერდოვის სახლი

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ 10½-მდინ ნაკასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; 10½ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ზაბიევი სამშაბათობით და შაბათობით, საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ეჟ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაჶუსის ხელმძღვანელობით.

# განცხადებანი

—

საშვალო სასწავლებელ - ახლად-შესრულებულ ყმაწვილ კაცს სურს ამ ზაფხულ ამლიოს

გაკვეთილები ძლიერ იაფ ფასად

მსურველთ შეუძლიათ თავიანთი ადრესის დატოვება ქ. ხელამის სტამბაში. (5—2)

თბილისის სამართველოში (управа) ყოველ დღე ათი საათიდამ პირველამდე მიიღება შესაწირავი ფული განსვენებული იმპერატორის ალექსანდრეს ძეგლის ასაგებად თბილისში.

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანაჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—67)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | | მოსკოვის ჩაის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1 მ. 10 კ. | | | 1 მ. 40 კ. |
| — | — | 1—20 | — | — | 1—60 |
| — | — | 1—40 | — | — | 1—80 |
| — | — | 1—60 | — | — | 2— ,, |
| — | — | 1—80 | — | — | 2—50 |
| საუკეთესო | 2— | ,, | — | — | 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელსახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—81)

გამოცდილი კუმისის გამკეთებელნი ალიევი და ომაროვი, რომელთაც საკუთარი საკუმისო აქვსთ ვლადიკავკაზში და როსტოვში მიაქცევენ ქიმების ყურადღებას ნამდვილ ფაშატის ცხენის კუმისზედ. კუმისი ისყიდება დღეში 150—200 ბოთლი. შოვნა შეიძლება ზამლინსკისა, წურინოვისა და ზეინეს აფთიაქებში. (3—3).

ინგლისის მაღაზიაში

**თმის-აღმდგენი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—79)



**მაკ-მასტერი**

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტგები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. იქვა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შხოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—18)

**ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА**

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЮРИДИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

Издаваемый въ г. Тифлисѣ.

(годъ третій)

Журналъ, какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, кромѣ приложеній по прежней программѣ.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: Тифлисъ, Сололакская улица д. № 10.

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, на полъ года 6 р.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и чрезъ два мѣсяца еще 3 р.

Подписка принимается на 3 мѣсяца—3 р. 20 к. и на 1 мѣсяцъ 1 р. 25 к.

ОТДѢЛЬНЫЕ НОМЕРА—25 коп.

Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и С.-Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

(5—1) Редакторъ-издатель А. С. Френкель.

[Присяжный повѣренный]

ვერცხლის მედალი.

# შპალერები

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაუთმობათ. (40—11)

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.
რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Мая 1883 г. Типографія Е. Хеладзе. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.